ატმოსფეროს დაბინძურება და მისი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

ქეთევან ცხვედაძე
ელ. ფოსტა: qcxvedadze@bk.ru
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, თბილისი, 0179, საქართველო

ანოტაცია

თემაში განხილულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემები საქართველოში.

ცნობილია, რომ ჰაერის მნიშვნელოვანი დამაბინძურებლებია მტვრის მყარი ნაწილაკები, ნახშირბადის მონოქსიდი, ოზონი, აზოტის დიოქსიდი და გოგირდის დიოქსიდი. ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე გავლენას როგორც ბუნებრივი პროცესები - ვულკანები, ნიადაგის მტვერი, ტყის ხანძრები, ასევე ტექნოლოგიური პროგრესი - მრეწველობა, ტრანსპორტი, მეტალურგია.

საქართველოში ატმოსფერულ ჰაერს ძირითადად აბინძურებს - ავტოტრანსპორტი, ენერგეტიკული სექტორი, სოფლის მეურნეობის დარგები და სამრეწველო ობიექტები. ატმოსფერული ჰაერი სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვიდან ძირითადად ნახშირჟანგით, ნახშირწყალბადებით, აზოტის ჟანგეულებით, გოგირდის ორჟანგით, ჭვარტლით, ბენზ(ა)პირენით, ჰაერში შეწონილი დისპერსიული მყარი ნაწილაკებით (PM10, PM2,5) ბინძურდება.

რა სარგებლობის მომტანია სუფთა ჰაერი ადამინიასათვის, როგორია ჰაერის დაბინძურების ჰიგიენური ღირებულება, ატმოსფეროს ჰაერის გაჯანსაღების ძირითადი ღონისძიებები.

სიტუაცია არის შემაშფოთებელი, რაც მოითხოვს სასწრაფოდ რეაგირებას და შესაბამისი ზომების გონივრულად გატარებას.

საკვანძო სიტყვები: ატმოსფეროს დაბინძურება, ოზონი, დისპერსიული მყარი ნაწილაკები.